ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4930382

ნომერი: AR1743953

თარიღი : 14.04.2020

გაცემის თარიღი : 30.04.2020

გაცნობის თარიღი : 30.04.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 16ა , მიმდებარედ; ქ.თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N16ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , თავდადებულის N14-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , დ. თავდადებულის ქ. N14-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭავჭავაძე პ/ნ 01001009040
- ქ.თბილისი, გლდანის მე-6 მიკრო/რ 26-ე კორ. ბინა46

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.))ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 14 აპრილს AR1743953 განცხადებით მომართა დავით ჭავჭავაძემდა მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.))ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთების დამატებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) ბრძანებით ქალაქ თბილისში, ქუჩა დემეტრე თავდადებული №16ა-ს მიმდებარედ, (საკ კოდი: 01.10.06.006.234; ფართობი 1759 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

24/12/2019 წლის № 4803591 ბრძანებით შევიდა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ნაკვეთის შეცვლილი საკადასტრო გეგმა საკადასტრო კოდით ს/კ 01.10.06.006.234 (რეგისტრაციის ნომერი N 882019918251, 06/12/2019).
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და დამატებით ახალი საკადასტრო კოდების დაფიქსირება.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ახალი ამონაწერები დასაკადასტრო გეგმები კერძოდ: N 01.10.06,006.311 (125 კვ.მ), N 01.10.06,006.118 (26 კვ.მ), N 01.10.06,006.211 (60 კვ.მ)

წინამდებარე განაცხადით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.)) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და დამატებით ახალი საკადასტრო მონაცემების დამატება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.)) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.))ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო მონაცემები N 01.10.06,006.311 (125 კვ.მ), N 01.10.06,006.118 (26 კვ.მ), N 01.10.06,006.211 (60 კვ.მ)
2. მშენებლობის ნებართვის სტადიაზე წარმოდგენილი იყოს გაერთიანებული საკადასტრო გეგმა.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის N 3141688 (23.03.2017) (ცვლილება № 4803591 (24/12/2019 წ.)ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.